



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49233424

თარიღი:08/12/2023

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4823340119; 06/12/2023) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული წესდების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე (დანართი თან ერთვის).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“
წესდება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება“ (შემდგომში „გაერთიანება“) არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი სპორტული დაწესებულება, რომელიც ემსახურება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებას;

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება“ თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე;

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ დამფუძნებელია წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მიერ. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელმწოდებაა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება“.

4. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებას“ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა საჭირო რეკვიზიტები;

5. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება“ საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს საქმიან კონტაქტებს როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით შეუძლია გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში;

6. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ იურიდიული მისამართია: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №6; ელექტრონული ფოსტა tskaltubosportuliklubebi@gmail.com

მუხლი 2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“

მიზნები და ამოცანები

გაერთიანების მიზნებია:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა სპორტული კლუბებისა და სპორტული სექციების (სარაგბო კლუბი „დინოზავრი“, ხელბურთელთა კლუბი „პრომეთე“, ფრენბურთელთა კლუბი „წყალტუბო“, ფალავანთა კლუბი (ბ/რ ჭიდაობა და ძიუდო), ფარიკაობის, კრივის, ძლეოსნობის, ძალოსნობის, მაგიდის ჩოგბურთის, ტანვარჯიშის, ჭადრაკის, ქართული ჭიდაობის, კალათბურთის, მკლავჭიდის სექციების მართვა.
2. სექციები: ფარიკაობის, კრივის, მძლეოსნობის, ძალოსნობის, მაგიდის ჩოგბურთის, ტანვარჯიშის, ჭადრაკის, ქართული ჭიდაობის, კალათბურთის, მკლავჭიდის და სხვა სექციები რომლებიც შეიქმნებიან აღნიშნული წესდების მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების შესასრულებლად. გაერთიანების მიზანია, სპორტული აქტივობების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებით ხელი შეუწყოს მოქალაქეთა შრომის ბაზარზე წარმატების მიღწევას, მოზარდებსა და ახალგაზრდებში სპორტული პოტენციალის რეალიზებას, საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებას და მოზარდებში სპორტულ-პატრიოტული სულის ჩამოყალიბებას;
3. ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, მათი მეთოდური აღზრდა, დაოსტატება და შესაბამისი პირობების შექმნა;
4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსაკუთრებული სპორტული უნარ - ჩვევების მქონე ადამიანების მოძიება და მათთან საორიენტაციო მუშაობის ჩატარების განხორციელება;
5. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველყოფა;
6. სპორტული აქტივობების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სპორტის კონკრეტული სახეობის დაუფლებაზე ორიენტირებულ სპორტსმენტთა მომზადება და შესაბამის სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება როგორც სხვადასხვა ასაკობრივი, ასევე ნებისმიერი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის;
7. ქართული ტრადიციული სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და მუნიციპალიტეტში მისი განვითარება;
8. სპორტის სფეროში ყოველწლიური მუნიციპალური გეგმისა და განვითარების მოდელის შექმნა;
9. სპორტსმენტთა ოპტიმალური ფორმის შესანარჩუნებლად შესაბამისი პირობების შექმნა;

მუხლი 3. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“

სტრუქტურა და მართვა

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ სტრუქტურული ერთეულებია: გაერთიანების ადმინისტრაცია, **კლუბები:** სარაგბო კლუბი „დინოზავრი“,

ხელბურთელთა კლუბი „პრომეთე“, ფრენბურთელთა კლუბი „წყალტუბო“, ფალავანთა კლუბი (ბ/რ ჭიდაობა და ძიუდო);

სექციები: ფარიკაობის, კრივის, მძლეოსნობის, ძალოსნობის, მაგიდის ჩოგბურთის, ტანვარჯიშის, ჭადრაკის, ქართული ჭიდაობის, კალათბურთის, მკლავჭიდის და სხვა სექციები რომლებიც შეიქმნებიან აღნიშნული წესდების მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების შესასრულებლად.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ წესდებას, საშტატო ნუსხას, სახელფასო განაკვეთს, ხარჯთაღრიცხვას და ახორციელებს მათში ცვლილებების შეტანას.

3. მმართველის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება. მმართველს ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი;

მუხლი 4. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ მმართველი:

1. წარმართავს და ორგანიზებას უწევს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ საერთო საქმიანობას, პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

2. თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ თანამშრომლებს;

3. კანონით დადგენილი წესით განაგებს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ ქონებას და სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა სამსახურის საკუთრებაში არსებული ქონების მოვლა - პატრონობაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს და გაასხვისოს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;

5. იღებს გადაწყვეტილებას „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ შინაგანაწესით დადგენილი წესის შესაბამისად;

6. შეიმუშავებს და ამტკიცებს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ შინაგანაწესს;

7. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ;
8. უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოსცემს ბრძანებებს, რომელიც მოქმედებს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ ფარგლებში;
9. მინდობილობის გარეშე წარმოადგენს გაერთიანებას ყველა ინსტანციაში და დებს (გარიგებებს) ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;
10. წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;
11. მმართველი ანგარიშვალდებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წინაშე;
12. მმართველი ვალდებულია მისი არყოფნის პერიოდში აცნობოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს მმართველის მოვალეობის შემსრულებლის შესახებ.

მუხლი 5. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“

მწვრთნელ - მასწავლებელი, დამხმარე პერსონალი

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება“-ში მწვრთნელ - მასწავლებლად მუშაობის უფლება აქვს შესაბამისი განათლების მქონე პირს.
2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება“-ში მომუშავე მწვრთნელ - მასწავლებლების, სპორტის სპეციალისტებისა და ტექნიკური მომსახურე პერსონალის უფლება - მოვალეობანი განისაზღვრება მათთან გაფორმებული ხელშეკრულებით ან/და შინაგანაწესით, რომელსაც ამტკიცებს გაერთიანების მმართველი.

მუხლი 6. სასწავლო - საწვრთნელი პროცესის ორგანიზაცია

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება“-ში სასწავლო - საწვრთნელი პროცესი მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში, მათ შორის გათვალისწინებულია: სასწავლო - საწვრთნელი შეკრებები, სამსაჯო პრაქტიკა, სხვადასხვა რანგის შეჯიბრებების ორგანიზება და მონაწილეობა, სპორტსმენთა სამედიცინო კონტროლი, არდადეგების პერიოდში საბანაკო და სასწავლო - საწვრთნელი შეკრებები;
2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება“-ში აღსაზრდელთა ჩარიცხვა წარმოებს გაერთიანების მმართველის ბრძანების საფუძველზე;

3.„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება“-ში შემსვლელთათვის აუცილებელი საბუთების ნუსხა და ხელშეკრულებების პირობები განისაზღვრება შინაგანაწესით;

4.„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ სასწავლო - საწრთვინელი პროცესების ორგანიზების ძირითადი ფორმებია: ინდივიდუალური და ჯგუფური;

5.„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება“-ში სპორტის სხვა სახეობის ახალი სექციის გახსნა ხდება, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასთან შეთანხმების საფუძველზე, შესაბამისი პედაგოგიური კადრებისა და მატერიალურ - ტექნიკური ბაზის არსებობის შემთხვევაში,

მუხლი 7. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“

მატერიალური ბაზა და ფინანსები

1.დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად გაერთიანებას გადაეცემა შესაბამისი ქონება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2.გაერთიანების დაფინანსების წყაროებია:

2.1 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

2.2 საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3.ამ მუხლით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას, გაერთიანების სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია;

4.გაერთიანება ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო - ეკონომიკური საქმიანობას აღრიცხვა - ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს შეთანხმებას

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებას“ შეუძლია მხოლოდ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის და საჭიროების შემთხვევაში სხვა შესაბამისი ორგანოების თანხმობით, განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა)უძრავი ქონების შეძენა-დატვირთვა;

ბ)სესხის აღება;

გ)თავდებობა;

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე)სხვა გადაწყვეტილებები „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 9. საქმიანობის კონტროლი

1.„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ საქმიანობა ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილ კონტროლს.

2. ა(ა)იპ-ის საქმიანობის კონტროლი გულისხმობს, „გაერთიანები“-ს მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

3. მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი „გაერთიანები“-ს საქმიანობაზე, კონტროლის განხორციელების მიზნით საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამის მასალები და ინფორმაცია.

მუხლი 10. წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ წესდების დამტკიცების შესახებ მერის ბრძანების ამოქმედებიდან;

2. თუ ამ წესდების (დამფუძნებლის შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე;

3. ამ წესდებისა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

